# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

სამშაბათი 12 აგვისტო

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ ტფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

**№ 127** ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 **№ 127**


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція ,,ИМЕРЕТИ" Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.


## უ დ ი დ ე ს ი

**სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი**

### ქ. ქუთაისში

### კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებსა შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალღვათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო, ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძლიერ იაფათ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას ეძლევა საშუალება, რომ რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . . , . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . „ 2 „.
6. ალ. ჰიჰინაძე. გეოგრაფია . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-14 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორის მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.


## ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ:

ქალაქში ხმა გავრცელდა, თითქოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები მომავალი ოთხი წლ-სათვის (1914—1918 წ.წ.) სხვა დროისათვის გადადებულიყოს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს

### ხმა სიმართლეს მოკლებულია:

არჩევნები მოხდება მდგომარე **1914** წლის **14** სექტემბერს, და იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ მდგომარე აგვისტოს 14 რიცხვისათვის გამოსაცხადებელ საბოლოო საარჩევნო სიაში, დაუყონებლივ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადის „ნედოიმკები“.


ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

**ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

ქუთაისის რეალური სასწავლებელი ამით **აცხადებს** რომ მისაღები გამოცდები მოსამზადებელსა და პირველ კლასებში (დანარჩენებში ადგილი არაა), აგრეთვე განმეორებითი ეგზამენები ყველა კლასებში დაიწყება 22 მარიობისთვიდან. თხოვნები მიიღება 20 მარიობისთვემდი. თხოვნებთან ერთად უნდა იქმნეს წარმოდგენილი მოწმობები: 1. მეტრიკული (კანტორისა), 2. წოდებისა, 3. ყვავილის აცრისა და 4. ერთი ფოტოგრაფიული სურათი პოლიციისაგან დამოწმებული. ზემო აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლათ თხოვნა არ მიიღება.

**მინადორა დუნდუას**

**ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,**

## გადავიდა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.** ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. 2 საათ.

ქ უ თ ა ი ს ი

## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დ ი ლ ი თ.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვბის.

| | | |
|---|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | . . . . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | . . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ ღღე | . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | . . . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | . . . . . . | 12½2მ |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | | |
|---|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | . . . . | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი

## ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის

## გამგეობა ამით აცხადებს, რომ

## მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან.

**ექიმი** კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

**ექიმი** ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვ. პ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**დამეკარგა ატტესტატი 471,** ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9 12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

შეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**პარიზი.** „ტამპ“-ი ამბობს, რომ დიადმა აფრთოვანებამ კრემლში შექმნა გამაცვიფრებელი სურათი რუსის ხალხის თავის მეფესთან ერთობისა. ეს აფრთოვანება არ იყო უბრალო ოფიციალური ცერემონია. ამგვარ აფრთოვანებულ მიდებას წინეთაც ქონია ადგილი რუსეთში დიდმნიშვნელოვან მომენტებში და ყოველთვის ფრთებს ასხამდა ხალხის ძლიერებას, რომელიც ყველაფერს წალეკავს.

**ლონდონი.** 9 აგვისტო. ლონდონის გაზეთების დამატებაში დაბეჭდილია კაბინეთის დადგენილება, რომლითაც კაბინეთი აცხადებს: ვინაიდგან ბრიტანეთის საზღვაო ძალები შეთანხმებულათ მოქმედობენ ფრანგების ძალებთან ერთად, ვინაიდგან საფრანგეთმა რუსეთს განუცხადა თავის სურვილი მოქმედებისა თანახმათ ლონდონის დეკლარაციის დადგენილებათა, დიდი ბრიტანეთის მთავრობაც დაეყრდნობა თავის მოქმედებაში ლონდონის დეკლარაციის დადგენილებათ ცოტაოდენ ცვლილებითა და დამატებით.

**პარიზი.** საზოგადო დახმარებათა შესათანხმებელი კომისიის სხდომის დროს, თავმჯდომარემ, ბარტუმ, დიდი მადლობა განუცხადა ელჩს და კომისიის ერთსულოვანი სურვილისამებრ განაცხადა, რომ ამბულატორიაზე იქნება გამოკიდებული წითელი ჯვრის დროშა რუსეთის და საფრანგეთის დროშათა შუა, ამასთანავე დაუმოწმა კაცთმოყვარეობის და სოლიდარობის ის გრძნობები, რომლისთვის იბრძვიან მოკავშირეთა ქვეყნები საძაგელ თავდასხმის წინაალმდეგ.

**ლონდონი.** 9 აგვისტო. ამსტერდამიდან იტყობინებიან ღამით შემჩნეულ იქნა გერმანელთა დირიჟაბლი, რომელიც რეინის გასწვრივ დაფრინავდა. ჰოლანდიელებმა მას თოფები დაუშინეს. დირიჟაბლი უკან ისევ გერმანიაში დაბრუნდა. ასევე მოიქცა ჰაეროპლანი, რომელსაც ბეკის მიდამოებიდან თოფები ესროლეს.

მაასტრიხტზედაც გამოჩნდა დირიჟაბლი, რომელიც გერმანიის საზღვრებზე დაბრუნდა.

**კოპენჰაგენი.** 9 აგვისტო. „კორესპონდენც ბიურო“ ვენიდან იუწყება, გუშინ ბრძანება გამოიცა გამოცხადდენ ჯარში ყველა სათადარიგონი, სელავათიანი სათადარიგონი, ლანდშტურმის რატნიკები, ის სათადარიგონი და სელავათიანი სათადარიგონი, უნგრეთის ლანდვერთა, რომელნიც ყანებში სამუშაოთ იყვენ დათხოვნილნი, ისინი ვინც ერთხელ მოწვეული იყვენ, მაგრამ როგორც საჭირო რიცხვზე ზედმეტნი ისევ დაბრუნებულიქნენ და აგრეთვე ის ლანდშტურმელნი, რომელნიც 42 წელს არ გადაცილებულან.

**სოფია.** 9 აგვისტო. პარლამენტის ოპოზიციამ მოწოდება გამოსცა, რომლითაც მოითხოვს შექმნილ იქმნას იმისთანა კაბინეტი, რომელიც ამ კრიზისის დროს ყველა პოლიტიკურ პარტიებს შეაერთებს.

**პარიზი.** რიცხვი არ აქვს. ინვალიდთა სასახლეში გაიმართა საფრანგეთის ჯარში მოხალისეთ შესვლის მსურველთა ხელის მოწერა, ესპლანდ-დეზინვალიდს აუარებელი ხალხი აწყდება. ეროვნული დროშებზე აღნიშნულია ადგილები, რომელიც დაკავებული აქვთ სხვადასხვა ეროვნებათ.

**ბრიუსელი.** რიცხვი არ არის აღნიშნული. ქალაქის მერმა გერმანელთა მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ მცხოვრებლებს მიმართა მოწოდებით, რომლითაც წინადადებას აძლევს მათ ნუ დაარღვევენ წესრიგს და ერიდონ გამამწვავებელ მოქმედებას.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური) 9 აგვისტო. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბიდან) 6 აგვისტოს ჩვენი ჯარით, ბრძოლი წინ მიდიოდა გუტბინენის რაიონში. 7 აგვისტოს ბრძოლა გაჭიმული იყო 30 ვერსის მანძილზე. გამოირკვა, რომ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა გერმანელთა არა ნაკლებ 14 ქვეითი პოლკისა, მათ საველე და მრავალი მძიმე არტილერიის ზარბაზანი ქონდათ. ბრძოლა ვითარდება და ჩვენ სასარგებლოთ მიდის. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ხელში ჩაიგდო 2 ზარბაზანი.

**პარიზი.** „ეკოლცელსიოსი“ ჰიტყობინება, რომ ფრანგთა მფრინავებმა კარპადემ და ფრენკემ დაანგრიეს ჩამოსროლილი ყუმბარებით მეცში ცეპელინი და ორი აეროპლანი. დირიჟაბლმა ფლერიუსმა ააფეთქა სადგური ტრენე. მფრინავმა ჰეგუმ არტილერისტ მონტერინესთან ერთად იფრინა გერმანიის ტერიტორიაზე.

**ამსტერდამი.** 9 აგვისტო. გამოქცეულები ამბობდენ, რომ გერმანელებმა დაადვეს ლიეჟს 50 მილიონი ფრანკი სამხედრო გადასახადი.

**ლონდონი.** 9 აგვისტოს. ბეჭდვითი ბიურო აცხადებს, რომ გერმანელებმა დაადვეს ბრიუსელს 200 მილიონი ფრანკი სამხედრო გადასახადი. რეიტერის სააგენტო აცხადებს, რომ 7 აგვისტოს, გაზეთების ცნობებით, მოკავშირე ჯარებმა დაამარცხეს გერმანელები, რომელთაც დაიხიეს დიდი ზარალით ტირლემონიდან.

**პარიზი.** 8 აგვისტოს. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ როდესაც ფრანგთა ჯარებმა ხელახლა დაიჭირეს ლოტარინგია, წაიწიეს წინ მთელ ფრონტზე დანონიდან შატოსალენამდის და უკან დაახევინეს გერმანელთა ჯარებს მდინარე სეილის ხეობისკენ და ტბების მიდამოებისაკენ.

ფრანგების ჯარის ავანგარდი მივიდა დელ, მამდი დიეზამდი და მარანჟამდი. გუშინ გერმანელთა ჯარის რამოდენიმე კორპუსმა მთელ ფრონტზე ენერგიული კონტრ იერიში მიიტანა. ფრანგთა მოწინავე რაზმები უმთავრეს ძალებთან დაბრუნდენ.

ბრძოლა ძალიან გამწვავებული იყო. რადგანაც მტერი რიცხვით ბევრათ სჭარბობდა, ფრანგთა ჯარებმა, რომელნიც ექვსი დღის განმავლობაში შეუწყვეტლათ იბრძოდენ, უკან დაიხიეს.

ფრანგთა მარცხენა ფრთა ნანსის წინა სიმაგრეებსი ცავს; მარჯვენა ფრთა კი მჭიდროთ დგას დონონის მიდამოებზე.

რადგანაც მტრის ჯარი, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობდა რიცხვით ბევრათ ძლიერი იყო, ფრანგთათვის უსარგებლო და წინდაუხედველობა იქნებოდა, რომ იმათ ლოტარინგიაში თავისი პოზიციების დაცვა განეგძოთ.

ბელგიელების ჯარები განაგრძობენ უკან დახევას უინცინდენტოთ. გერმანელთა ჯარმა გაიარა ბრიუსსელი და გაემართა დასავლეთისკენ. ამ ჯარს მიყვება კიდევ ერთი კორპუსი. ნამიური ერთი მხრით გარემოცულია. შუადღისას ნამურს მძიმე არტილერია ესროდა. გერმანელთა ჯარები განაგრძობენ მოძრაობას დასავლეთისკენ ნამიურის საზარბაზნო სროლის წრის გარეშე.

**ლონდონი.** 9 აგვისტო. „დეილიმეილ“-ს ბრიუსელიდან ტელეგრაფით ატყობინებენ, რომ გერმანელები შევიდენ ბელგიის სატახტო ქალაქში და მაშინვე გამოაცხადეს სამხედრო წესები. აღუკრძალეს მცხოვრებთ ქუჩებზე გამოსვლა შებინდების შემდეგ და მოითხოვეს 16 კაცი მძევლათ.

**ცეტინიე.** აქ მოიყვანეს სამხედრო ტყვეები: თერთმეტი აფიცერი და 132 მატროსი, რომელნიც გადარჩენ ავსტრიის კრეისერის ეკიპაჟს ბუდვისთან ბრძოლის დროს, რომელიც დაიკავეს მთაშაველებმა.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტო. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური განცხადება. 4, 5, 6 და 7 აგვისტოსს აღმოსავლეთ პრუსიაში მედგარი ბრძოლა იყო. ჯარი აღფრთოვანებულია. ბრძოლის ველი გაშლილია 40 ვერსის მანძილზე. ჩვენ დავიჭირეთ ქალაქები: გოლდაპი და არისი. ლიკის მიდამოებიდან გერმანიის მეოცე კორპუსის უკან დახევა სისწრაფით მოხდა. ლიკაში ხელში ჩავიგდეთ ორთქლმავალი, ვაგონები, ფურაჟი, სპირტი და ბენზინი. ხაზინაში კონფისკაცია ვუყავით 50,000 მარკას. ვილემბერგის რაიონში მტრის ჯარი საზღვრებსა სტოვებს. გერმანელები სოფლებიდან ჩრდილოეთისკენ გარბიან, 7 აგვისტომდე ავსტრიელებთან თვალსაჩინო შეტაკება არ მოგვსვლია. პოვოსტოვთან, ბერესტეჩკის მახლობლათ, ჩვენმა ჯარმა ჰაობში შერეკა გუსართა მეცხრე პოლკის ესკადრონი, ტყვეთ ჩავვივარდა ორი აფიცერი და ას ხუთი გუსარი, ავსტრიის ბატალიონი ჩვენებმა განდევნეს მისგან დაჭერილ ადგილებიდან. გუმბინენის რაიონში 7 აგვისტოს გვებრძოდა მტრის არა ნაკლებ სამი კორპუსისა და ცდილობდა დაეჭირა ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთა, სადაც ბრძოლა უკიდურესობამდე გამწვავდა. ცენტრში ჩვენ იერიში მივიტანეთ და ხელში ჩავიგდეთ მრავალი ზარბაზანი. 8 აგვისტოს ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთა ბრძოლით წინ მიიწევდა და ბინდისას მტერი განდევნა. ამ ადგილას მტერმა გვთხოვა დროებით ზავი ჩამოეგდო, რომ თავიანთი დაჭრილები და მკვდრები აეკრიფათ, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით. 9 აგვისტოს გმირული მოქმედება ჩვენი ჯარისა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჩვენი ჯარისაგან დევნილი დიდათ დაზარალებული გერმანელები უკან-უკან იწევენ.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტო. გუშინ სერბიის მთავრობამ ბუქარესტში მყოფ ესპანიის ელჩს ნოტა გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებს, რომ ავსტრო უნგრეთის უმთავრესმა ბინამ ბრძანება გამოსცა: გაანადგურეთ ხოლმე მოსავალი, დასწვით სოფლები და გასწყვიტეთ მცხოვრებლებიო. ავსტრო-უნგრელებმა მდინარე დრინიდან რომ უკან დაიხიეს, სერბიელებმა ნახეს დახოცილ-დასახიჩრებულნი გვამები მოხუცთა, ქალებისა და ბავშვებისა. ამ სიმხეცემ ისეთ ნაირათ ააღელვა სერბიის ჯარები, რომ ძნელი იქნება დააცხროს ვინმემ გრძნობა მათის შურისძიებისა.

**პეტერბურგი.** გამოიცა ახალი წესდება საზღვაო ჯილდოების შესახებ. სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის ცნობებით პირველ აგვისტოსათვის მოსავალს საერთოთ საშუალო პირი უჩანს. მთავრობამ ნება დართო უსასყიდლოთ წაიყვანონ რკინის გზის მესამე და მეოთხე კლასის ვაგონებით ჯარში გაწვეულ სათადარიგოთა უმწეო ოჯახობანი, რომელნიც სამშობლოში ბრუნდებიან და რომელთაც ადგილობრივ ადმინისტრაციის მოწმობა ექნებათ. ასეთივე შეღავათი მიეცემათ იმ ხელ მოკლეთ, რომელთაც აღეკრძალებათ ცხოვრება ციხესიმაგმაგრეებში და, საზოგადოთ, იმ ადგილებში, სადაც ორი სწარმოებს.

სავაჭრო სანაოსნო განყოფილების განკარგულებისამებრ მებრძოლ მხარეთა სავაჭრო გემებს აეკრძალათ სარგებლობა თავისი ელექტრონის მოწყობილობით. უმავთულო ტელეგრაფისა და ტელეფონისათვის, როცა ისინი შვეციის ნავთ სადგურებში იდგებიან.

**რომი.** 5 აგვისტო. მინისტრ-პრეზიდენტმა თვალსაჩინო თანხა გაგზავნა პარიზსა და საფრანგეთის სხვა ადგილებში იქ მყოფთ უმუშევარ იტალიელთა დასახმარებლათ. ასეთივე დახმარება მიეცემათ სხვა ქვეყნებში მყოფ იტალიელებს რკინის გზებიც დიდ შეღავათებს აძლევენ სამშობლოში დაბრუნების მსურველთ. მთავრობამ რამდენიმე გემი დაიქირავა და გაგზავნა მარსელს, ალჟირს, პოსტლანდს და კაზინბლანკში.

სოციალისტურ პარტიის ლიდერი ბისსოლატო ჯარში ჩაწერას აპირებს, თუ იტალიას ომი აუტყდება.

**პარიზი.** 9 აგვისტო. „პტიპარიზიენი“ იუწყება: რადგანაც ჰოლანდიის საზღვარებზე გერმანიის ჯარი უკვე გამოჩნდა. ნიდერლანდიის მთავრობამ კვლავ აცნობა პარიზსა და ლონდონს, რომ მთელის ძლიერებით ნეიტრალიტეტს დავიცავო. ამის გამო ნიდერლანდიის მთავრობასა და საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს დელეგატ შორის გასგაში საყურადღებო მოლაპარაკება უკვე დასრულდა.

**ლონდონი.** აქ მოვიდა ჯიოლლიტტი სვანგებო მინდობილებით. სამხედრო მინისტრმა მიიღო გენერალი იოსებ გარიბალდი, რომელიც ნიუორკიდან მოვიდა და რომელსაც აზრათა აქვს წინადადება მისცეს საფრანგეთის მთავრობას შეადგინოს საერთა შორისო გარიბალდის კორპუსი მოხალისეთგან.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტო. რადგანაც გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ვითომც კენიგსბერგში მყოფი რუსეთის ელჩი პოლიანსკი დაეხვრიტოთ, გარეშე საქმეთა სამინისტრო, თანახმათ ამერიკის საელჩოსაგან მიღებულ ცნობებისა, აცხადებს, რომ პოლიანსკი დღესაც კენიგსბერგში იმყოფება და სრულიათაც ჯანსაღათ არის.

შინაგან საქმეთა მინისტრი მოსკოვიდან პეტერბურგს დაბრუნდა.

**ოდესა.** აქ მოვიდა სპარსეთის შახათ ნამყოფი მაგომეტ-ალი.

**მოსკოვი.** 9 აგვისტო. ქალაქის მოურავთა კრება დასრულდა. პეტერბურგის ქალაქის მოურავის წინადადებისამებრ გადასწყვიტეს მილოცვის დეპეშა გაუგზავნონ უმაღლეს მთავარსარდალს და მიიღონ ძირითადი დებულებანი ქალაქების კავშირის ახალის წესდებისა.

რადგანაც მოსკოვის რაიონში მუშა ხელი შემცირდა, მოსკოვის მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოებამ გადასწყვიტა მუშები მოიწვიოს პოლონეთიდან, სადაც ამჟამათ ქარხნების უმრავლესობა დაკეტილია. გზათა მინისტრმა აღუთქვა, რომ მუშებს რკინის გზის ბილეთები უფასოთ დაეთმობათო.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტო. ლოხვაცის ერობამ ომის საჭიროებისათვის 40000 მანათი გადადო.

სევასტოპოლის საბჭომ 15000 მანათი გამოიღო სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოთ.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს გააგის კონვენციას ტყვია „დუმ-დუმის“ ხმარების წინაალმდეგ და აუწყებს, რომ გერმანია ხმარობს ამ ტყვიებს, თუმცა იმანაც გააგში გამოცემულ დეკლარაციას ხელი მოაწერა, რომ ასაფეთქებელი ტყვიები არ იხმარებოდესო.

**ტოკიო.** ჩინეთის ელჩმა განაცხადა, რომ ამ კრიტიკულ დროს ჩინეთის მეგობრობა იაპონიასთან უფრო გამტკიცდა.

რუსეთის ელჩმა და იაპონიის მთავრობამ ერთმანეთს გადასცეს მოწონებული დეკლარაცია რუსეთისა და იაპონიის ტელეგრაფების შეერთების შესახებ.

**ოდესა.** გრადონაჩალნიკმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველივე უწესოების მოხთენა ქუჩაში და აგრეთვე ჯარში გაწვეულთა ოჯახების ბინიდან ძალით დათხოვნა. დამნაშავეს გადახთება 8000 მანათი ჯარიმა ან და დატუსაღებული იქნება 3 თვით.

**ბერნი.** 9 აგვისტო. ბრიუსელსა, ლუვენომსა, ლიეჟსა, გასელტომსა და მათ ახლო-მახლო მდებარე ქალაქებს შორის ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

**სტამბოლი.** გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც უცხო სახელმწიფოთა სამხედრო და სავაჭრო გემებს აკრძალული აქვთ რადიოტელეგრაფის სადგურების ამუშავება. რადიოტელეგრაფიული მანქანები გემებმა უნდა ჩამოიხსნან, როდესაც იგინი ოსმალეთის ტერიტორიალურ ზღვებში შედიან.

**ლონდონი.** 9 აგვისტო. ფოშტა-ტელეგრაფის უწყებამ ტელეგრამების მიღება შესწყვიტა.

გენტმა განაცხადა, რომ ანტვერპენის პროვინციის სხვა ადგილებში გასაგზავნი დეპეშების მიღება სწარმოებს.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტო. გერმანიის ჯარმა დასცალა ქალაქი ბრიე.

**ბუდაპეშტი.** გამოცხადდა მეფის ბრძანება, რომელიც ნებას იძლევა გონვედის ლანდშტურმი ავსტრო-უნგრეთის საზღვრებ გარეშეც მოიშველიოთ. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: სამხედრო უწყების მოხელეებმა აღარ ატარონ გერმანიისა და ავსტრიის წარჩინებულთა მიერ ნაბოძები ორდენები და სხვა ნიშნები.

**ვილნა.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბრძოლის შემდეგ აღებულ იქნა თვალსაჩინო რკინის გზის სადგური ინსტერბურგი, რომლის აღებაც მალე გადაწყვეტს ტილზიტის ბედს.

**პარიზი.** 10 აგვისტო. სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 9 აგვისტოს საღამომდის ბელგიაში მდგომარეობა არ შეცვლილა.

გერმანელები დასავლეთის მხრით ისევ მიიწევიან. გერმანელთა კავალერია დენტის მხრით ადგილებს ზვერავს. საფრანგეთის საზღვარზე ლოტარინგიაში ნემეცთა ჯარის მოძრაობა, რომელსაც ჩვენი იერიშის პასუხათ ახდენდენ, დღეს შეაჩერეს. მთა-გორებზე, ლინევილის ჩრდილოეთით, რამდენიმე შეტაკება მოხდა. გერმანელთა იერიში სუსტი იყო. თუ უკანასკნელ დღეებში ფრანგებს დიდი ზარალი მოუვდათ, უეჭველია გერმანელთა დანაკლისიც არა ნაკლებია.

**პეტერბურგი.** 9 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, გადაიცვალა სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე სტატს-სეკრეტარი აკიმოვი.

**ვაშინგტონი.** 9 აგვისტო. იაპონიის ელჩმა სთხოვმა ბრაიანს: შეატყობინოს ბერლინში მყოფ იაპონიის ელჩს, რომ მან უნდა დასტოვოს ბერლინი დილის 4 საათზე, ბერლინის დროით, იმ შემთხვევაში თუ გერმანია ამ დროისთვის არ მისცემს პასუხს იაპონიის ულტიმატუმზე.

**კონსტანტინოპოლი.** 9 აგვისტო. დიდი ბრიტანიის მთავრობამ მწუხარება განუცხადა პორტას ოსმალების ორი დრედნოუტის დაკავების გამო, რამაც ოსმალეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მასთანვე ინგლისი შეპირდა, რომ მ[illegible] დრედნოუტს ისევ დაუბრუნებს, [illegible] რეთს თუ კი [illegible]

**ნიში.** 9 [illegible] ბა იუწყება, რომ ავსტრიელებმა უკან დახევის დროს მშვიდობიან მცხოვრებლა დაატანეს და მხეცურად მოექც[...] ზოგიერთი მცხოვრები, განურჩევლათ [...] სისა და ასაკისა, ულმობელათ ამოჟ[...] ტეს.

**პარიზი.** (რიცხვი არ არის ნაჩვენები). საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქში გერ[...] ნელ ტყვეებს დიდის ყურადღებით [...] რობიან. ასეთი საქციელი, კიდევ ერ[...] ხელ, ამტკიცებს ფრანგთა რაინდობასა [...] პატიოსნებას. მაგრამ, მიუხედავათ ამი[...] ფრანგთა სამხედრო მინისტრის აზრით [...] ჭირო არ არის, ლმობიერათ მოე[...] ისეთ მტერს, რომელიც მხეცურათ [...] ცევაო. გამოცხადდა ინსტრუქცია [...] ვარ სარდლისა, რომ გერმანელი ტყვ[...] ების არსებობა მხოლოდ მატერიალურ[...] უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

სანსებასტიანიდან დეპეშით იტყობ[...] ბიან, რომ ესპანიის მეფეს რომანონ[...] თან ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა. [...] რობენ, რომ ესპანიის მეფე დაეთანხ[...] რომანონესის მოსაზრებას, რომელიც [...] მხრეა ესპანიის საფრანგეთთან და [...] ლისთან აქტიური კავშირისა.

**ნიში.** 9 აგვისტო. ცეპლანინთან [...] დროს სერბიის არტილერიამ სრულე[...] გაანადგურა მე-102, 19, 21 და 28 [...] რიის პოლკები, ოცდა მეერთე ქვეითა [...] ვიზიის და ოცდა მერვე პოლკის უფ[...] სები მოკლული არიან.

**ლონდონი.** 10 აგვისტო. იპრიდან (ბე[...] გია) იტყობინებიან, რომ ბრიუსელ[...] მყოფი ამერიკის ელჩი ქალაქის ბურ[...] მისტრთან ერთად შეხვდა გერმან[...] ჯარებს, რომლებიც ქალაქში შევიდენ. მათ უმფროს აუწყა, რომ მას, მისი მ[...] რობისაგან მინდობილი აქვს მი[...] ბრიუსელი თავის მფარველობის ქვეშ [...] თვალყური ადევნოს ომის კანონების [...] ცვას.

**ტოკიო.** 10 აგვისტო. იაპონიამ გე[...] მანიას ომი გამოუცხადა.

**პეტერბურგი.** 10 აგვისტო. დიდ ბრ[...] ტანეთის მთავრობამ გამოაცხადა შემ[...] გი ცნობა:

დედამიწის სხვადასხვა ადგილებში ბრ[...] ტანეთის კრეისერებმა თავის ოპერაც[...] ბით შეაჩერეს გერმანიის საზღვაო ვაჭრობ[...] გერმანიის ფლოტს არ ძალუძს ამას [...] ლი შეუშალოს და თავისი ვაჭრობა [...] რუნველჰყოს. გერმანიის სავაჭრო გემ[...] წყალთა-წონის შვიდ პროცენტამდი ბრ[...] ტანელთა ხელშია; ოცი პროცენტი [...] ლება ნეიტრალურ ნავსადგურებში. გე[...] მანიის დანარჩენი სავაჭრო ფლოტი [...] გი იმყოფება გერმანიის ნავთსადგურებ[...] რადგანაც იქიდან დაძვრა არ შეუძ[...] ათ და ზოგი-კი ცდილობს უშიშარ ა[...] გილებში თავი შეინახოს. ბრიტანე[...] სავაჭრო გემები განაგრძობენ ვაჭრობ[...] ყველა დიდ სავაჭრო გზებზე. გერმანი[...] ესკადრამ, რომელიც ჩინეთის წყლე[...] იმყოფება, დაკარგა მოქმედების თავის[...] ლება, რადგანაც მას ბრიტანეთის შორ[...] ულ აღმოსავლეთელი ესკადრა მოსვე[...] ბას არ აძლევს.

ავსტრიის ესკადრა დამალულია [...] რიატიკის ზღვაში. პირისპირ ფრანგ-ინგ[...] სელთა შეერთებულ ფლოტისა, რომე[...] ისე სჭარბობს მას თავის ძალებით, [...] მუდამ შეუძლია აგზავნოს ძლიერი [...] მები ხმელთა შუა და მის ახლო-მახ[...] ზღვებში.

დიდი ნაწილი მეზღვაურ სამხედ[...] ფლოტში სამსახურის წინადადებას [...] ლევა,

**ანტვერპენი.** 10 აგვისტო. ხმა დ[...] დღეს ნამიურსი და შალრუას შუა ფრა[...] თა და გერმანელ ლაშქართა შო[...] დიდი ბრძოლა დაიწყოო.

**ლონდონი.** 10 ავისტო. დანიის [...] გემი „მაიდანდი“ და „ბრებერგი“ ჩრ[...] ლოეთის ზღვაში ჩაწყობილ ნაღმებს [...] აწყდა და აფეთქდა. ამის გამო სა[...] რალო დაბეჯითებით გაახსენებს ნეიტ[...] ლურ სახელმწიფოთა გემებს, რომ [...] თვის აუცილებლობას წარმოადგენს ჩრ[...] ლოეთის ზღვაში გასვლამდი ბრიტანე[...] ნავთსადგურებში შემოვიდენ, რათა [...] გონ რომელი გზებია თავისუფალი [...] მებისაგან. საადმირალო იტოვებს [...] მედების სრულ თავისუფლებას ომის წ[...] მოების ასეთ საშუალებით გამოწვე[...] ზარალის ასანაზღაურებლათ, აცხადე[...] რომ დიდ ბრიტანეთის საადმირალოს [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნაღმი არ ჩაუბას და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაიცვას საზღვაო გზათა უზრუნველყოფა მშვიდობიანი ვაჭრობისათვის.

**ნიში.** 9 აგვისტო. პრესსბიურო იუწყება, რომ უკანასკნელ ცნობებით ავსტრიის ძალები სერბიაში 180,000 აღის. სერბებს არ შეეძლოთ ამათ წინააღმდეგ შესამჩნევ ძალების წამოყენება, მაგრამ გმირულად იბრძოდნენ და ისეთის მოხერხებით შლიდნენ მტრის ყოველგვარ გეგმას, რომ ბოლოს გაიმარჯვეს. ავსტრიელებმა დაიხიეს. სასტიკი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**პეტერბურგი.** 10 აგვისტოს დილით, სახელმწიფო საბჭოს ახლად გარდაცვალებულ თავჯდომარის აკიმოვის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ საბჭოს წევრები, თავჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი გოლუბევი და ყველა მინისტრები.

**ამსტერდამი.** 9 აგვისტო. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ „დეიტშბანკის" შენობაში მოხდა თათბირი გერმანიის მთავრობის მოხელეებისა და რუსთა ზოგიერთ ქვეშევრდომებისა გერმანიაში უსახსროთ დარჩენილ რუსების სასარგებლოთ ზომების მისაღებათ.

დააარსეს ორი კომიტეტი, ერთი მდიდარ რუსებისაგან შემოწირულების შესაკრებათ, მეორე-კი ამ შემოწირულების უსახსროთათვის დასარიგებლათ.

**სოფია.** 10 აგვისტო. ოპოზიციონური გაზეთები მკაცრათ კიცხვენ მთავრობას გამოურკვეველ პოლიტიკის გამო. ამბობენ, რომ სრულიად გამოურკვეველია, თუ როგორ კომპენსაციას მიიღებს ბოლგარია ნეიტრალიტეტისთვის.

გაზეთი „მირი" კიცხავს ოფიციალურ პირთ, რომელთაც თავი მეტად უდიერათ უკავიათ და ნეიტრალიტეტის მიუხედავათ აშკარათ აღიარებენ თავის სიმპატიას გერმანია-ავსტრიისადმი. რუსეთის მომხრე გაზეთები თანაგრძნობით ეპყრობიან რუსეთს და გაუგებრათ მიაჩნიათ ის მკაცრი კილო, რომლითაც რუსეთის საზოგადოება და პრესსაც ბოლგარიის ნეიტრალიტეტს იხსენებს, მაშინ როდესაც ოფიციალურათ რუსეთი, დღეს დღეობით, ბოლგარიიდან ნეიტრალიტეტის მეტს არას მოითხოვს.

**რომი.** 10 აგვისტო. კონკლავი შეიკრიბება არა უგვიანეს 18 აგვისტოსა და დიდხანს არ გაგრძელდება.

**პარიზი.** 10 აგვისტო. რადგანაც ბელგიამ, ომის გამო, აუცილებლათ უნდა დაფაროს ბევრი ხარჯები, საფრანგეთმა და ინგლისმა გადასწყვიტეს სესხათ მისცენ მას 500 მილიონი ფრანკი. ინგლისი და საფრანგეთი ამ სესხს შუაზე იყოფენ.

**ტოკიო.** 10 აგვისტო. გერმანიის ელჩმა მიიღო პასპორტი და ოთხშაბათს ამერიკის ჯავშნიან გემით ამერიკაში მიდის.

**ოდესა.** 28 აგვისტოდან 31 აგვისტომდი ნებადართულია საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების საოლქო ყრილობის მოწვევა.

**პარიზი.** 10 აგვისტო. გავასი იტყობინება, რომ გერმანელთა ოფიციალური ცნობა თითქოს 7 აგვისტოს დამარცხებული ფრანგები, მეორე დღეს კიდევ მეტად დამარცხდენ და გაიქცენ, რომ მათ 10000 კაცი ტყვეთ წაართვეს და მასთან 50 საომარი იარაღიც, კარიკატურული გადამეტებაა, რადგანაც გერმანელთა ლოტარინგიაში გამარჯვება არ აღემატება ელზასთან ფრანგების გამარჯვებას. იარაღიც ფრანგებმა მეტი წაართვეს ელზასთან, ვიდრე გერმანელებმა ლოტარინგიაში, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია იმ რიცხვზე, რომელიც გერმანელებმა გამოამჟღავნეს. უკან დახევის დროს გერმანელთა ჯარის არცერთი ნაწილი არ გადასულა საომარ საზღვარს. ფრანგების ჯარი ნანსიდან ჩრდილოეთით გაჩერდა, მაგრამ ეს დროებითი უკან დახევაა ენერგიული წინ წაწევის შემდეგ. ასეთი შემთხვევა ცალკე და უმნიშვნელო ეპიზოდია ომისა, რომლის დროსაც უეჭველათ ხდება წინ წაწევაც და უკან დახევაც.

**პეტერბურგი.** 10 აგვისტო. ცნობა მოვიდა, რომ ბელგიის ბრძოლის ველზე, ომის ცოტა ხნით შეჩერების შემდეგ, გერმანელებმა კვლავ იერიში მიიტანეს ბელგიელებზე. მათი მოწინავე ძალები ბრიუსელისკენ მიიწევიან.

**პეტერბურგი.** 10 აგვისტო. პრუსიის აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელებმა უკან დაიხიეს და მდინარე ანგერაპზე გადავიდენ.

მაზურის ტბებიდან დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს ქალაქები: იოგანისბურგი, ორტელსბურგი და ვილენბერგი. 10 აგვისტოს ჩვენმა ჯარებმა ქალაქი სალდაუ დაიკავა, რომლის მცხოვრებლები გაიქცენ.

გერმანელებმა ნეიდენბურგი დასცალეს და ცეცხლი წაუკიდეს. მტრის ძალები, რომლებსაც ამ ქალაქის რაიონები ეჭირათ, ჩრდილოეთისაკენ მიიწევა. მტერი უკან იხევს მთელს ფრონტზე.

9 აგვისტოს რუსის ჯარის 9 ესკადრონმა, სადგურ პლუხოვთან, ზლოჩევის და ზბოროვის შუა, იერიში მიიტანა რიცხვით ორჯერ მეტ ავსტრიის ესკადრონებზე. ჩვენმა ჯარებმა ავსტრიელები უკუ აგდეს და ორი ცხენოსანი ბატარეია და 160 ტყვე ხელში ჩაიგდეს. ავსტრიელთა ჯარმა, რომელიც თავს ესხმოდა ვლადიმერ ვოლინსკს, საჩქაროთ სოკოლისაკენ დაიხია. მდინარე სერეტზე გადასასვლელი ადგილის ნაწილი ჩვენ ხელშია. კიევის სამხედრო ოკრუგიდან აღმოსავლეთ გალიციაზე იერიში ჩინებულათ მიდის.

**მოსკოვი.** 10 აგვისტო. ქალაქის თავთა კრების დეპეშის საპასუხოთ, რომელშიაც გამოთქმული იყო უქვეშევრდომილესი გრძნობები, მოსკოვის ქალაქის თავის თანამდებობისა აღმასრულებელს შემდეგი საპასუხო დეპეში მოუვიდა: ,,უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქალაქის თავთა კრებას ჩემდამი გამოთქმულ გრძნობისათვისგან ჩვენ დაჭრილ ჯარის კაცთა დახმარების სურვილისათვის. **ნიკოლოზი.**

**პარიზი.** 10 აგვისტო. პარიზში მყოფმა რუმინიის პოლიტიკურ ცნობათა ბიურომ, რომელიც ბუქარესტში გადიყვანეს, წასვლის წინ მიმართა ფრანგულ პრესას წერილით, რომელშიც გატარებულია ის აზრი, რომ რუმინიამ მთელი თავისი ძალღონით უნდა იბრძოლოს საფრანგეთთან, ამ თავის უფროს დასთან ერთად.

**კოპენჰაგენი.** 10 აგვისტო. ვოლფი იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ გაიწვია თავისი ელჩი ტოკიოდან და იაპონიის რწმუნებულს ბერლინში პასპორტები ჩააბარა.

**ხარკოვი.** 10 აგვისტო. დასრულდა სამხრეთ რუსეთის სამთო-მრეწველთა განსაკუთრებული სხდომა, რომელმაც გასტანა 2 დღეს და რომელიც ეხებოდა სამთო-მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობას და მუშების დონეცის რაიონში გაწვევის აუცილებლობას. სხდომა შუამდგომლობს აცნობონ მცხოვრებთ მიჩნეულ გუბერნიებში, რომ მათ შეუძლიათ სამუშევრის პოვნა დონეცის რაიონში. შუამდგომლობს აგრეთვე მუშების ფასდაკლებით გადაყვანის და სანახშირე მღვიმეებში იმ მუშების დატოვების შესახებ, რომელნიც ამ წელს სამხედრო ბეგარის მოსახდელათ უნდა გაიწვიონ. აღნიშნულ იქმნა, რომ ღვინის დუქნების დაკეტვამ კარგი გავლენა იქონია მუშაობის მსვლელობაზე იმით, რომ გაადიდა შრომის ნაყოფიერება. უარყვეს მორატორიუმის შემოღება სამთო-მრეწველობის რაიონში.

**პეტერბურგი.** 10 აგვისტო. სამხედრო ბეგარის სამრეწველო იუწყება, რომ საჩივრები იმ კომისიებზე, რომელნიც იღებენ ცხენებს, წარდგენილ უნდა იქნეს სამაზრო-სამოქალაქო სამხედრო საკრებულოს მიერ ორი კვირის ვადაში, საკრებულოს დადგენილებაზე კი — საგუბერნიო სამხედრო საკრებულოში ოთხი კვირის ვადაში.

## ომის დღიური.

მდგომარეობა ბელგიაში, პარიზიდან მიღებულ ცნობით, იგივე იყო გუშინ, რაც 9 აგვისტოს. გერმანიის ჯარები ბრიუსელიდან დასავლეთით მიდიან და მისი მზვერავები უკვე ქალაქ გენტს უახლოვდებიან. გენტი იმყოფება ჰოლლანდიის სამზღვარზე და ორმოცი ვერსით დაშორებულია ანტვერპენზე, რომელშიაც შეიხიზნა ბელგიის ჯარი. რა მიზანი აქვს გერმანიის ჯარების ასეთ მოძრაობას დასავლეთისკენ ძნელი გამოსაცნობია. გენტის იქით ჰოლლანდიის სამფლობელო იწყება, რომელიც მოწყვეტილია დანარჩენ ჰოლლანდიისგან ზღვითა და ზელანდიის კუნძულებით და თავის გეოგრაფიულ მდებარეობით ბელგიის ტერიტორიის გაგრძელებაა. თუ გერმანიის ჯარები ჰოლლანდიის ამ ნაწილს დაიჭერენ, რასაკვირველია, ეს მასთან ნეიტრალიტეტის დარღვევა იქნება, მაგრამ ასეთი ნაბიჯი გერმანიის ჯარებს საშუალებას აძლევს ანტვერპენს თითქმის ზურგს უკან მოექცნენ და მას ზღვასთან დამოკიდებულება მოუსპონ. ცხადია, გერმანელ ჯარების ასეთი ნაბიჯი ანტვერპენის სრულ ბლოკადას ჰგულისხმობს.

მეორე ცნობა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია და მოგვითხრობს ნამიურსა და შარლერუასთან ბრძოლის დაწყებას საფრანგეთისა და გერმანიის ჯარებს შორის. ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგანაც, თუ ფრანგებმა აქ გერმანიის ჯარების მსვლელობა არ შეაკავეს და დამარცხდნენ, გერმანელებს ადვილად შეუძლიან საფრანგეთის სამზღვრის გადალახვა, რომელიც ნამიურიდგან დაახლოვებით 50 ვერსის მანძილზე სდევს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**დიეჟთან** პრძოლის ამბები.

დანიის გაზეთი ,,პოლიტიკენი'' სწერს: ლიეჟის პირველ იერიშ დროს გერმანელ ჯარის რიცხვი 100000 იყო, ბელგიელებისა 25000 უდრიდა.

გერმანელები ყალბ მოხსენებებს გზავნიდნენ ბელგიის სამხედრო სამინისტროში და გენერალურ შტაბში. მოხსენებები ვითომდა ბელგიელ აფიცრებისგან იყო ხელ მოწერილი,

ხუთშაბათს, 25 ივლისს ფორტები ჯერ კიდევ დაზიანებულები არ იყვენ. გერმანელებს 23 ივლისიდან 25 განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ ციხეზე.

ულანის პოლკის რვა გერმანელმა აფიცერმა მოახერხა და ქალაქში შევიდა. დარაჯებს და ხალხს ისინი ინგლისელები ეგონათ და სიხარულით შეხვდნენ. ,,გაუმარჯოთ ინგლისელებს''. ჰყვიროდენ მოქალაქენი. გერმანელმა აფიცრებმა მარშით ჩაიარეს ქუჩები და გენერალ ლემანის (ბელგიის სარდალი) მთავარ სადგომში შევიდნენ. მათ გენერალ ლემანის ტყვეთ წაყვანა სურდათ, მაგრამ მათსა და ბელგიელ აფიცრებ შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. გერმანელმა აფიცრებმა ორი ბელგიელი აფიცერი მოჰკლეს, რომლებიც გენერალ ლემანს იცავდნენ. ათი წუთის ბრძოლის შემდეგ, ბელგიელმა ტყვიებმა რვავე გერმანელი აფიცერი გაგმირეს.

ომი.

გაზეთ ,,ტიმეს''-ის სამხედრო რედაქტორი პოლკოვნ. რეპინგტონი შემდეგ სტრატეგიულ ცნობას იძლევა მიმდინარე ომის ვითარებაზე:

მისის აზრით რუსეთს პირველ ხანაში შეუძლიან 2 მილიონ კაცის და 5000 ზარბაზნის გამოყვანა. საფრანგეთი, რომელსაც 4 მილიონის გამოყვანა შეუძლია, გამოიყვანს 2 მილიონს. შეტაკება საფრანგეთის საზღვრებზე მოხდება 2—9 აგვისტომდი. რადგანაც ორ აგვისტოსთვის რუსეთის მობილიზაცია ჯერ კიდევ დამთავრებული არ იქნება, გერმანია უმთავრესად საფრანგეთს მიაწვება.

გერმანიის ჯარი თავის 25 საარმიო კორპუსით, ლანდვერით და სპეციალურ ჯარებით 2 მილიონ და 300000 კაცს უდრის 6000 საველე ზარზანებით. 1200000 ავსტრიის ჯარის დახმარებით იგი ეცდება გაანადგუროს საფრანგეთი, ვიდრე რუსეთი გამოვა საბრძოლველათ.

მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ძნელიც იყოს, რადგანაც ავსტრიას მუდამ დასჭირდება სერბიის წინააღმდეგ 350000 კაცი. მაგრამ, შესაძლებელია, ავსტრია ძალიან არ გაერთოს სერბიასთან ომით და შედარებით ნაკლები ძალები მოანდომოს მას.

საკითხავია, რამდენ ჯარს გაგზავნის გერმანია რუსეთის წინააღმდეგ ომის პირველ ხანას. შესაძლებელია, რომ რუსეთის საზღვარზე მხოლოდ სამიდან ხუთი კორპუსი მოათავსოს. ამ კორპუსებს იგი მოახმარებს ლანდვერს და ლანდშტურმს. მიუხედავათ ამისა, ჩქარის მობილიზაციის წყალობით, გერმანიას შეუძლია ახლავე აუტეხოს ომი რუსეთს, თუმცა მისი მთავარი ძალები საფრანგეთის საზღვარზე იქნება. ამიტომ რუსეთი შეცდომას ჩაიდენს, თუ პირველ შეტაკებებს დიდ მნიშვნელობას მიაწერს და, ვიდრე მობილიზაციას მოახდენდეს, ომს გამართავს.

**ბეტმან-ჰოლვეგის სიტყვა.**

ბიერნ ბიერნსონთან ლაპარაკის დროს გერმანიის საიმპერიო კანცლერმა სთქვა:

,,ჩვენ მტკიცეთ გადავსწყვიტეთ დავიცვათ ნეიტრალიტეტი, რომელიც ჩვენ მეზობელ ჰოლანდიასა და დანიას შეეხება.

ჩვენთვის, გერმანელებისთვის, სრულებით გაუგებარია ინგლისის საქციელი. რა უნდა მოიგოს ინგლისმა ამ ომში ჩარევით. ჩვენ ხომ მარტო ჩვენთვის არ ვიბრძვით. სკანდინავიის სახელმწიფოებმა უნდა გაიგონ თუ არა ახლა მაინც, რომ რუსეთის გამარჯვება მათ სრულ მოსპობას უქადის და პირველი განსაცდელი შეეცდის მოელის,

ჩვენ, გერმანელები, გაორკეცებულის ენერგიით ვიბრძოლებთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სინიდისი ჩვენი წმინდაა, და მეორეთ კი მიტომ, რომ ჩვენთან გადამბულია ბედი მაღალ სულიერ კულტურის მქონ გერმანელთა დანარჩენ ქვეყნებისაც.

ხალხი, რომელიც ერთსულად და ერთგულად აღსდგა თავის უფლების დასაცავად, ვერ მოისპობა.

## იმპერატორ ვილჰელმის სიტყვა.

აღარავისათვის დაფარული არ არის, რომ დღევანდელი შფოთისა, არეულობისა და სისხლის ღვრის მიზეზი გერმანიაა. პატრონი ძლიერის მხედრობისა, აღჭურვილი უკანასკნელის სიტყვით ტეხნიკურ მეცნიერებაში და გადიდგულებული გერმანია ვეღარ დაეტია თავის კანში და საერთაშორისო ომი გამოიწვია, ამასთანავე იმდენი გამბედაობაც კი გამოიჩინა, რომ თითქმის ერთი ებძვის მთელს ევროპას...

ვინც გადარჩება ამ ხოცვა-ჟლეტას, ის დაინახავს, ვინ დარჩება გამარჯვებული, მაგრამ ომის დაწყებისას კი გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს დიდი იმედი ჰქონია თავის თავისა და როგორც ძლიერი მეფე ძლიერის სახელმწიფოისა, იმისთანა ბუმბერაზ ქვეყანასაც კი, როგორიც არის რუსეთი, მაღლიდან დაბლა დაჰყურებს.

რუსულ გაზეთ „ვეჩერ. ვრ." არის დასტამბული ის აღმაშფოთებელი სიტყვა, რომელიც უთქვამს იმპერატორს ომის გამოცხადების დღეს, მაშინ, როდესაც მისი ქვეშევრდომნი ასიათასობით შეიკრიბა სასახლის წინ ბერლინში. ვილჰელმი სასახლის აივანზე გამოსულა, ხელში რაღაც ქაღალდები სჭერია და ხალხისთვის მიუმართავს:

— შვილებო! - ასე დაუწყია სიტყვა იმპერატორს—ჩვენ გამოგვიცხადეს ომი,— გამოგვიცხადეს ვერაგულად ამ მთელი კონა წერილებით, აი, ხელში რომ მიჭირავს,—მე მარწმუნებდენ, შენი ერთგული მეგობარი ვართო და ზურგს უკან კი თურმე ჩემსა და თქვენ თავზე დაცემას ხატრობდენ. შვილებო, აბა წაიკითხეთ ეს წერილები და თქვენ დაინახავთ, რომ რუსები მოღალატენი და გამცემლები არიან. მე დავიხსენი იგინი დაღუპვისაგან 1905 წელს და იმათ ღალატით მომიზღვეს სამაგიერო!.. ისინი არა კმაყოფილდებიან ამით, რაცა აქვთ. მათ სურთ, რომ ჩვენც მათი ყმა და მონები ვიყვნეთ. მაგრამ უმჯობესია პატიოსნების ველზე გავწყდეთ, ვიდრე იმ ბარბაროსის მონანი ვიყვნეთ. სჯობს სიკვდილი, ნამრახ სიცოცხლესა!"..

საზარელი ღრიანცელი ასტყდა. უთვალავი ბრბო კბილთა ღრჭენით გაჰკიოდა: ძირს რუსები! სიკვდილი რუსებს! ვაშა, ჩვენს იმპერატორს!..

ვილჰელმმა ცოტა შეიცადა და შემდეგ ხელი გაიქნია.

— შვილებო!—განაგრძო იმპერატორმა—1877 წელს რუსეთი ეომებოდა ოსმალეთს, ვითომდა ქრისტიანების მუსულმანთა მონობისაგან გასანთავისუფლებლათ. ჩემმა პაპამ—თქვენ იმას პატივსაცემდით და გიყვარდათ—მხარი დაუჭირა რუსებს და მიშველა—ამის საბუთებს ნახავთ ჩვენს სიძველეთ საცავში (არხივში), პაპა ჩემს მართლა ეგონა, რომ რუსები ქრისტიანობისათვის იბრძვიანო. რუსები კი მხოლოდ თავისთავისათვის იბრძოდენ. მათ წაართვეს რუმინიის მეფეს მისი მიწა-წყალი, ერთი ნაწილი კი მისცეს ბულგარლებს, რომლებიც თავის ძალას დაუმორჩილეს.

აი, თურმე რა ყოფილა ბრძოლა საქრისტიანოსათვის! ისინი ამბობენ: ჩვენ ვიფარავთ ქრისტიანებს აღმოსავლეთშიო. ჩვენ კარგად ვიცით, როგორც იფარავენ ამ ქრისტიანებს. მათ უნდათ თავის ყურმოჭრილ ყმათ გაიხადონ ქრისტიანები. მაგრამ განა ჩვენ ნაკლები ქრისტიანები ვართ, ვიდრე ის ბარბაროსები! რათა ჰგონიათ, რომ მარტო ისინი არიან მფარველნი ქრისტიანებისა?! ჩვენც მოვახერხებთ მათ დაცვას! ისინი-კი იცავენ ავაზაკებსა და კაცის მკვლელებს, რომელთა დასჯაც უნდოდა ჩვენ ერთგულ მოკავშირე ავსტრიას. ნუ თუ ამის ნება უნდა მივცეთ, ნუ თუ ჩვენ ნებას მივსცემთ, რომ ჩვენი ძმა ავსტრიელები რუსების მონობაში ჩავარდენ?.. ზღვასავით უძირო და ულიო ბრბომ კვლავ დაიგუგუნა:

— სიკვდილი რუსებს, სიკვდილი! გავჟლეტავთ მათ!..

ვილჰელმმა ხელი აიქნია. სიჩუმე ჩამოვარდა.

შვილებო!—განაგრძო მან—ჩვენ სამოცდა თვრამეტი მილიონი ვართ. გერმანელ გლეხს იმდენი მიწაც კი არა აქვს, რომ სამყოფი კართოფილი დასთესოს. ჩვენი გლეხი სთესს ამ თავის საზრდოს, საცა კი ერთი ბეწვა ნაჭერი მიწისა მოხვდება, სთესს თავის სახლის ბანზედაც კი, და რუსეთის მემამულეთა უმრავლესობას—თითოეულს იმდენი მიწა აქვს, რომ ბავარიის მეფესაც კი არა აქვს იმდენი, და ეს თითო ლუკმა მიწაც კი რუსებს ჩვენის გლეხისათვის არ ემეტებათ და მისწართმევასაც კი ლამობენ! ნუ დაივიწყებთ, რომ ოცი წლის შემდეგ ჩვენ ოთასი მილიონი ვიქნებით და ჩვენი შვილები სიმშილით დაიხოცებიან რუსების მონობის ქვეშ. ნუ თუ ასეთ ხელს უნდა დავემორჩილოთ? არა, უმჯობესია სიკვდილი სახელოვანი. განა მართალს არ ვამბობ, შვილებო? მაშ, ნუ დავემორჩილებით მტერს, დავამხოთ მტერი. ძირს რუსები!".

და როგორც გადარეულნი, როგორც გიჟები, ბრბო მოედო ბერლინის ქუჩებს და გაცოფებული ღრიალებდა:

— „ძირ რუსები! სიკვდილი ძაღლ რუსებს''...

„გაზ. კაპ.''

## ქუთაისი

ახალი ამბავი.

**ქალაქის გამგეობის დადგენილება ომის შესახებ.** 9 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) გამოეცხადოს ქალაქის გამგეობის ყველა მოსამსახურეებს, რომ ამა წლის 1 აგვისტოდან მათი ჯამაგირებიდან 1 პროც. გადადებული იქნება ომის სხვადასხვა საჭიროებისათვის. 2) შეენახოს ადგილები იმ პირთ, ვინც სათადარიგო ჯარის კაცებათ არიან გაწვეულნი, ან და მიეცეთ ჯამაგირის ნახევარი, დროებით დანიშნულ სანიტარულ ექიმს კი დაენიშნოს 50 მანეთი თვეში. 3) შესდგეს ქალაქის გამგეობასთან კომიტეტი რომელმაც უნდა შეკრიბოს ომის საჭიროებისთვის ფული და სხვა ნივთები. კომიტეტის თავმჯდომარეთ იქნება: ქალაქის თავი ბ-ნი—ი. მ. ჩიქოვანი. წევრებათ: ქალაქის გამგეობის წევრები, მდივანი ბუღალტერი, კასირი და სხვა. და 4) რადგანაც ქალაქი ფინანსიური მხრით კრიზისს განიცდის—შეაჩერონ სხვადასხვა მუშაობა.

◆ **სიმონ ალექსის ძე ქვარიანი,** ქალაქის გამგეობის წევრი, რომელიც ამ ზაფხულზე სამკურნალოთ აგარაკზე იყო წასული,—უკვე დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

◆ რედაქციამ მიიღო ახალგაზდა მგოსნის **გალაქტიონ ტაბიძის** წიგნი და არა ტ. ტაბიძის, როგორც ეს კვირის ნუმერში შეცთომით გვქონდა აღნიშნული.

◆ ქუთაისში 15 აგვისტოდან გამოვა ახალი ყოველდღიური ქართული გაზეთი ,,**ლამპარი**''.

◆ **დრ. საზოგადოების კრება.** 9 აგვისტოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა სანამ თავის თავათ არ შეუშლის საქმეს ხელს, განაგრძოს, მუშაობა როგორც თეატრის ტეხნიკურათ შეკეთებისა, აგრეთვე დეკორაციების ხატვისა.

◆ **მსახიობი ა. გუგუშვილი** ქუთ. დრამატიულ საზოგადოებამ მომავალ სეზონში სუფლიორათ მოიწვია.

◆ რეჟისორი ვ. შალიკაშვილი თეატრის საქმეებისათვის ამ დღეებში თფილის მიემგზავრება.

◆ შავიქვის საბჭოს კრება. 8 აგვისტოს ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭომ დაადგინა: დაბა ჭიათურაში საბჭოს საავათმყოფოში გადადვას 20 საწოლი ომში დაჭრილთათვის, აგრეთვე ამ დაჭრილების ხარჯი იდვას თავს.

◆ **სასწავლებლებში.** სამეურნეო სასწავლებელში მისაღები გამოცდები 25 აგვისტოდან იწყება.

◆ წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში შენობის შეკეთებას უკვე შეუდგენ.

◆ **შემთხვევა.** კვირას, 10 აგვისტოს, საღამოთი საოლქო სასამართლოს ეზოში თამაშობდა რამდენიმე ებრაელი ბავში. ბავშები თამაშობის დროს სასამართლოს კარებშიც შევიდენ. სასამართლოს „შვეიცარმა'', სამოელ ლორიამ, ბავშების დანახვაზედ რევოლვერი იძრო და გაისროლა. ბავშთაგანს არვის ტყვია არ მოხვედრია. ,,შვეიცარი'' ლორია პოლიციამ დაიბარა.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში მიიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის წიგნაკები, პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანალდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.


## ფაქტიური შენიშვნა გაზეთ „შრომას“.

მართალი მოგახსენოთ, არავითარი სურვილი არა გვაქვს შევეკამათოთ ან, ავუხირდეთ ეგრეთ წოდებულ გაზეთ „შრომას“. მაგრამ, როცა ადამიანი განზრახ ამახინჯებს ფაქტებს, არ შეგვიძლია ჭეშმარიტება არ აღვადგინოთ და ფაქტების დამამახინჯებელს უკმეხი შეცდომა არ გავუსწოროთ.

ბ-ნმა ვუკოლ ბერიძემ „შრომის“ რედაქცია სიყალბეში დაიჭირა და უსაყვედურა. ეს, რასაკვირველია, არ იამა „შრომის“ რედაქციას და რომ თავისი ნებსითი თუ უნებლიეთი სიყალბე ჩაეფუჩეჩებინა, თავისს გაზეთის ფურცლებზე. ერთი ალიაქოთი ასტეხა! „რომამ“ ეს აღარიკმარა და „იმერეთს“ გადმოსწვდა.

„იმერეთის“ ჭვალი რომ ბევრს ადგია, ეს ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ რა შუაშია ამ შემთხვევაში „იმერეთი“?

აი თურმე რა „შგაშია“:

1) „იმერეთი“ „ბ-ნ ვუკოლის ,,მძიმე არტილერია“ ყოფილა.

**შენიშვნა.** სიცრუეა! ბ-ნ ვუკოლს ჩვენი გაზეთი არავითარ „არტილერიობას“ არ უწევს. ის თავის გზით მიდის.

2) „იმერეთს“ საღამოს დეპეშების გამოცემა 1—2 საათზე დაუწყია.

**შენიშვნა.** ესეც სიცრუეა. „იმერეთი“ საღამოისა და დილის დეპეშებსაც მაშინ გამოუშვებს ხოლმე, როცა მზათა აქვს.

ეს მისი სრული უფლებაა, როგორც ყოველ დღიურ გაზეთისა. ხოლო როცა ყოველ კვირეული ეგრეთ წოდებული გაზეთი მეცამეტე გოჯივით ყოველ დღე აეკვიატება ხოლმე ყოველ დღიურ გაზეთს, ეს კი გაზეთის ცხად მეტოქეობასა ნიშნავს. მაშ რა ჰქნას ყოველ დღიურმა გაზეთმა, თუ მეცამეტე გოჯს არ გაუსწრო? როგორ მოასწრობს ყოველ დღიურ მკითხველთა სამსახურს?

ხოლო, როცა ყოველ-კვირეული მოსოციალისტე გაზეთი წინ ეღობება ყოველ დღიურ გაზეთს და ყოველ დღე ბეჭდავს დეპეშებს, ეს სოციალისტობა კი არა, უკვე „კერძო საკუთრების შეძენაა“. ჩვენ უარს არა ვყოფთ იმ ფაქტს, რომ ყველას შეუძლია დეპეშების გამოცემა, მაგრამ ყოველ-კვირეულ გაზეთს და მის რედაქციას, როგორც ეგეთს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვს ამ მხრივ მეეტოქოს ყოველ დღიურს და თანაც კბილები უკრაჭუნოს.

„იმერეთი“ ყოველ დღე გამოდის, დილას-საღამოს დეპეშებს უშვებს და იმავე დეპეშებით თავის ნუმერს ავსებს, ასე რომ, ერთი და იგივე დეპეში ორჯერ იყიდება. რა ეწოდება ამას?!-ო, კითხულობს გაზეთი.

**შენიშვნა.** ამას ეწოდება: უვიცობა და უმეცრება „შრომის“ რედაქციისა, ვინაიდან რუსეთში არც ერთი ყოველ დღიური გაზეთი არ არსებობს, რომელიც ცალკე გამოცემულ დეპეშებს თავის ხელისმომწერთათვის გაზეთშიაც არ ათავსებდეს. ეს მოვალეობაა გაზეთისა თავის ხელისმომწერლებთა წინაშე. ცალკე დეპეშები მხოლოდ შემთხვევით მკითხველებისათვის არის დანიშნული და შეიძლება ქალაქში მცხოვრები გაზეთის ხელის მომწერი ვერც კი შეხვდეს მათ, პროვინციის ხელისმომწერლებიც რომ არ ვიანგარიშოთ.

დღეს ქუთაისში გაზეთისთვის ქაღალდი არ იშოვება. ამის გამო „იმერეთი“ უკანასკნელ ხარისხის—ბოთლების სახვევ —ქაღალდზე ისტამბება, (თუ ისტამბებოდა?) მიუხედავათ ამისა „იმერითის“ ცალკე ნუმერი ძველებურათ შაურათ იყიდება. რა ეწოდება ასეთ საქციელს?!

**შენიშვნა.** ასეთს საქციელს ეწოდება მოვალეობის ასრულება. არც ერთ პატიოსან რედაქციას ნება არა აქვს უგზეთოთ დასტოვოს თავისი ხელისმომწერი და მკითხველი, მერე ასეთ დროს!...

ხოლო თუ „იმერეთი“ უკანასკნელ ხარისხის—ბოთლების სახვევ—ქაღალდზე იბეჭდებოდა და ფასი კი ისევ ერთი შაური ჰქონდა, ეს იმიტომ, ჩვენო ბრძენთა ბრძენნო, რომ ამ ბოთლების სახვევ ქაღალდშიც იმდენსვე ვიხდიდით, რამდენსაც ჩვეულებრივ გაზეთის ქაღალდში! მე თქვენ მოგახსენოთ ისეთი ,,სოციალისტები“ კი ვართ, რომ არავითარ შემთხვევით არ ვისარგებლებთ!

დადგა დრო სარგებლობისა და ფასმაც, თუნდა „ბოთლების სახვევ“ ქაღალდის ფასმაც, აიწია. ნუთუ ეს არ იცოდით თქვენ? თუ არ იცოდით, ჯერ უნდა გაგეგოთ და მერე გეკიცინებოდათ, ხოლო თუ ეს გარემოება იცოდით ასეთი ბრალდება არ უნდა წამოგეყენებინათ. ასეთი საქციელი არ გეკადრებათ!

იყო ისეთი შემთხვევა, როცა გაზეთის ქაღალდში 20—25 მანეთი დაგვიხარჯავს დღეში, მაგრამ გაზეთი იმერეთი კი ისევ შაურათ ღირდა. (მაგ. იხ. იმერეთი № 125) რატომ ეს კი აღარ აღნიშნეთ?... მაგრამ კმარა! თქვენ სიმართლე კი არა, როგორცა სჩანს, სულ სხვა რამე გალაპარაკებთ და, მართალი მოგახსენოთ, თქვენ ცუდ განზრახვათა გადაქექვისათვისკი არა გვცალია ამ სისხლის წვიმების დროს...

რედ.

## პასუხად ბ-ნ მარი-ოლლის.

გაზეთ „იმერეთი“-ს № 123-ში, სათაურით „წყალგალმა ნაწილიდან“ ბ-ნი მარი-ოლლი, ეხება რა, სხვათა შორის, წყალგაღმა ეკლესიების კრებულთ, ამბობს: „აქაურ (წყალგაღმა) ეკლესიებში ზიარების დროს და აღდგომის კვირაში ზოგან დიდი ალიაქოთი აქვთ ერთმანეთ შორის მედავითნეებს კორკოტისა, პასქებისა და საზედაშე ღვინის გაყოფის დროს: ეკლესიაში ყველა უფროსობს მედავითნე, მნათე და დარაჯიც, რის გამო ხშირათ ისინი იბრძვიან და ღვდელი ან ყურადღებას არ აქცევს, ან და ნამუსს უნახავს“-ო. ვინაიდან ჩემი სასაფლაოს მთავარანგელოზის ეკლესია წყალგაღმა ნაწილშია და, რომ ბ-ნი მარი-ოლლის წერილში მოთავსებულმა შენიშვნამ მართლა ეჭვში არ შეიყვანოს გაზეთ „იმერეთი“-ს პატივცემულნი მკითხველნი, მე, - წინამძღვარი სასაფლაოს მთავარ-ანგელოზის ეკლესიისა,—ვამცხადებ: ჩემი ეკლესიის კრებულთა შორის მსგავსი ზემოხსენებულ ბრალდებისა არაფერი ხდება. დიდიხანია ჩემ ეკლესიაში, კრებულისვე დადგენილებით, ასეთი წესი სუფევს: კრებულის ვერც ერთი წევრთაგანი ხელს ვერ ახლებს და ვერც სახლში წაიღებს საკურთხს, კორკოტს და პასქებს; ეს დადგენილება მტკიცედ სრულდება, რასაც მთელი მრევლი დაადასტურებს. ხოლო საზედაშე ღვინოს ვაჭრობით ვყიდით კრებულთა შორის და აღებული ფული ეკლესიის სასარგებლოთ მიდის, რასაც მოწმობს ეკლესიის შემოსავალ-გასავლის წიგნი. შემდეგ ასეთი წესწყობილებისა, თავისთავად ცხადია, რომ ბ. მარი-ოლლის შენიშვნა შესახებ მედავითნეებისა, ვითომ ისინი საკურთხ-კორკოტ-პასქა-ზედაშის გაყოფის დროს ჩხუბს და ალიაქოთს ახდენენ ჩვენა გვგონია, რომ უსაფუძვლოა. აგრეთვე სრულიად გაუგებარია ბ. მარი-ოლლის შენიშვნა, როცა ამბობს: „ეკლესიაში ყველა უფროსობს მედავითნე, მნათე და დარაჯიც“. აგერ თოთხმეტი წელია ვღვდლობ სასაფლაოს ეკლესიაში, რამოდენიმე დიაკონ-მედავითნე და მნათე გამოცვლილა ჩემ ხელში და მსგავსი არაფერი შემჩნეულა ამ ეკლესიის დაბალ მოსამსახურეთა შორის, რასაც ჩემთან თანამყოფი და ყოფილი ღვდლებიც დაამტკიცებენ. ამრიგათ, ჩვენ ბ-ნ მარი-ოლლის შენიშვნის გარეშე ვრჩებით.

წინამძღვარი ქუთაისის სასაფლაოს მთავარ-ანგელოზის ეკლესიისა დეკ.

ალექსანდრე შანიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გაზეთ „იმერეთის“ № 123-ში ვინმე მარი-ოლლი ეხება რა ქუთაისის ეკლესიების მედავითნეთ (რიონის მარჯვენა მხარე) ბრძანებს „ზიარების დროს აღდგომის კვირაში დიდი ალიაქოთი აქვთ ერთმანეთს შორის მედავითნეებს კორკოტისა, პასკებისა და საზედაშე ღვინის გაყოფის დროს... ხშირათ იბრძვიან, ეკლესიაში უფროსობენ და სხვა“.

ზემოხსენებული ბრალდების ჩვენ წინააღმდეგ წამოყენებისა გამო, ვცნობთ რა თავს შეურაცხყოფილათ, ვიწვევთ მარი-ოლლს სამედიატორო სასამართლოში, სადაც უნდა დაგვიმტკიცოს წამოყენებული ბრალდება. ვადას ვაძლევთ ერთ კვირას. მედიატორებს მაშინ დავასახელებთ, როცა დაგვთანხმდება.

ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მედავითნე ონისიფორე სვანიძე და იასონ მოდებაძე.

---

ბ-ნო რედაქტორო! ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდი მადლობა გამოუცხადოთ სოფ. კალუათის მცხოვრებს, მაკრინე ქორქოლაძეს, რომელმაც კეთილი ინება და ჩვენ ღარიბ ეკლესიას შემოსწირა „ბაირაღები“ ღირებული ოცდაექვს მანეთად.

სოფელ კალუათის მც. მონდობილობით—შალვა ასლანისშე გოდაბრელიძე.

---

ბ. რედაქტორო! „იმერეთის 124 ნომერში წერილი მოვათავსე ერთი უწყების საყურადღებოთ. ამ წერილში ბრალსა ვდებდი ერთ მოხელეს—სახელდობრ ბ. მიროშნინს—სხვისი ფულების მითვისების განზრახვაში და ვთხოვდი ბ. სახ. შკოლების დირექტორს დაეცვა მიროშნინის თავგასულობისაგან. არც ისე გამოუცდელი ვარ, არ მცოდნოდა, თუ რა შედეგი მოყვებოდა ჩემ წერილს. ბ. დირექტორს ჩემი სწავლება და დარიგება არ ესაჭიროება, ამ ფულების მდგომარეობა ჩემზე უკეთ იცის და თავისი მოვალეობაც ჩემზე უკეთ ესმის. მაგრამ დღეს ეჭვი მეპარება, ვაი თუ ვისიმე თანხმობით მიითვისა მიროშინმა ფულები. მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ ბ. დირექტორი ჩემს წერილს ჩალის ფასადაც არ ჩააგდებდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ეს საქმე უყურადღებოთ დავტოვო და თევზივით პირში წყალი დავიგუბო. აი რისთვის მოგახსენებთ ამას: საზოგადოების სურვილით და გადაწყვეტილებით და მთავრობის ნებართვით ქართული, გერმანული და ფრანგული ენები შემოღებული არიან ქუთ. მაღ. პირველდაწყებითი სასწავლებელში და თვით მოწაფეთა მშობლები იხდიან მასწავლებელთა დასაქირავებელ ხარჯს. აი ამის გამო თვით საზოგადოება დაინტერესებულია იცოდეს: სად მიდის ეს ფული, იხარჯება თუ არა ის პირდაპირი დანიშნულებისათვის, ღებულობენ თუ არა დაქირავებული მასწავლებლები ჯამაგირს? სხვების რა მოგახსენოთ და მე პირადათ კი, როგორც წინა წერილში მოგახსენეთ, არ მიმიღია. რომ ეს ასეა, ვთხოვ ზემოხსენებულ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს, განსაკუთრებით მ. იასონ კაპანაძეს და სხვ. დამიმოწმონ, რომ მოწაფეთა მშობლებისაგან საკმაო ფული იყო შემოსული და მე ის არ მიმიღია. და თუ ეს ფული არ მიმიღია, ეს იმას ნიშნავს, რომ მიროშნინს მისი მითვისება განუზრახავს.

პ. მოდებაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.


# განცხადება.

**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში** მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოვება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 2[illegible] აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. წაგარეიშვილი.

---

# ამ დღეებში
ქუთაისში გამოვა ალმანახი
# ,,ქუთაისის საქმიანობა“.

ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Ивановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

---

# თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის
# აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალ სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

---

# მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ჟორჟოლაძეების
# ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (მალარეიას) **კუჭის ტკივილს,** ვენ**რიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის“.

---

# ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
# ველოსიპედები

ყველაზე იაფად.




შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე

ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

---

# ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საბუღალტერო კურსები**
# გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.